



№ \_\_\_\_\_

## ბრძანება № 03/02-27

ქ. თბილისი

19 თებერვალი, 2018 წელი

### უნივერსიტეტის ეთიკის საბჭოს შექმნისა და ეთიკის საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლისა და შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის წესდების მე-4 და მე-12 მუხლების შესაბამისად,

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ სტუდენტის ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში, დისციპლინური წარმოების საკითხს წყვეტს უნივერსიტეტის ეთიკის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან შემდეგი თანამდებობის მქონე პირები:

- 1.1. უნივერსიტეტის რექტორი - საბჭოს წევრი, ეთიკის საბჭოს თავმჯდომარე;
- 1.2. უნივერსიტეტის პრორექტორები - საბჭოს წევრი, ეთიკის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- 1.3. ფიზიკის სკოლის დეკანი - საბჭოს წევრი;
- 1.4. კომპიუტერული მეცნიერებისა და მათემატიკის სკოლის დეკანი - საბჭოს წევრი;
- 1.5. მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლის დეკანი - საბჭოს წევრი;
- 1.6. სამართლის სკოლის დეკანი - საბჭოს წევრი;
- 1.7. საერთაშორისო ურთიერთობების სკოლის დეკანი - საბჭოს წევრი;



1.8. ბიზნესის ადმინისტრირების სკოლის დეკანი - საბჭოს წევრი;

1.9. ვიზუალური ხელოვნების, არქიტექტურის და დიზაინის სკოლის დეკანი - საბჭოს წევრი;

1.10. სადოქტორო სკოლის კოორდინატორი - საბჭოს წევრი;

1.11. უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის უფროსი - საბჭოს წევრი;

1.12. სტუდენტების დეკანი - საბჭოს წევრი;

1.13. საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი;

1.14. ეთიკის საბჭოს მდივანი.

2. ეთიკის საბჭო მოქმედებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის წესდების, სტუდენტის ეთიკის კოდექსისა და ამ რეგლამენტის საფუძველზე.

3. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება ემყარება შემდეგ წესებს:

3.1. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სამართლიანი პროცედურის გზით.

3.2. საკითხის ინიციატორი სამსახურებრივი ბარათით (დანართი №1) მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს და ითხოვს უნივერსიტეტის სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების (დანართი №2) მიღებას. საკითხის ინიციატორი სამსახურებრივ ბარათში მიუთითებს დასაბუთებას იმის თაობაზე, თუ სტუდენტის ეთიკის კოდექსის რომელი ნორმის დარღვევის გამო მიიჩნევა აუცილებლად სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების განხორციელებას.

3.3. საკითხის ინიციატორი სამსახურებრივ ბარათთან ერთად რექტორს წარუდგენს სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების განხორციელების გადაწყვეტილების პროექტს (რექტორის ბრძანების პროექტი - დანართი №2). რექტორის ბრძანება სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების განხორციელების თაობაზე გადაეცემა ეთიკის საბჭოს ყველა წევრს (შემდეგი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით: [ethicscouncil@freeuni.edu.ge](mailto:ethicscouncil@freeuni.edu.ge)) და შესაბამის სტუდენტს.

3.4. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა სტუდენტის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა, თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი



უფლებების, ჯანმრთელობის, საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას.

3.5. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის მონაწილეობა სასწავლო პროცესში საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას, სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების განხორციელების გადაწყვეტილების თაობაზე რექტორის ბრძანებაში მიეთითება სტუდენტისათვის სასწავლო პროცესში მონაწილეობის უფლების შეზღუდვის შესახებ. რექტორის ზემოაღნიშნული ბრძანება დაუყოვნებლივ გადაცემა შესაბამის სტუდენტს.

4. ეთიკის საბჭოს სხდომა ტარდება შემდეგი წესების დაცვით:

4.1. ეთიკის საბჭოს წევრი ესწრება და მონაწილეობს საბჭოს სხდომებში, ასევე, გადაწყვეტილებების მიღების მიზნით გამართულ კენჭისყრაში.

4.2. ეთიკის საბჭოს სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა უმრავლესობა.

4.3. საბჭოს სხდომას ხელმძღვანელობს ეთიკის საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - ეთიკის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

4.4. სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება საბჭოს თავმჯდომარის ხმას.

4.5. ეთიკის საბჭოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას არ იღებს საბჭოს წევრი, თუ იგი ურთიერთდამოკიდებულებაშია სტუდენტთან, რომლის საკითხსაც განიხილავს საბჭო. ურთიერთდამოკიდებულების არსებობისას საბჭოს წევრი ნებაყოფლობით აცხადებს თვითაცილებას. საბჭოს წევრ(ებ)ი უფლებამოსილნი არიან ურთიერთდამოკიდებულების არსებობისას შესაბამის წევრს მისცენ აცილება. ურთიერთდამოკიდებულებად განიხილება:

4.5.1. ერთიდაიმავე სკოლისადმი/ფაკულტეტისადმი/საგანმანათლებლო პროგრამისადმი კუთვნილება;

4.5.2. განსახილველი საკითხის შედეგით დაინტერესება;

4.5.3. სტუდენტთან ნათესაური ან სხვა ახლო კავშირის არსებობა;

4.5.4. ნებისმიერი სხვა გარემოების ან მდგომარეობის არსებობა, რაც წევრის ობიექტურობაში ეჭვის შეტანის საფუძველია.

4.6. ეთიკის საბჭოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას არ იღებს ეთიკის საბჭოს სხდომის მდივანი.



4.7. საკითხის ინიციატორი ეთიკის საბჭოს თავმჯდომარესთან ათანხმებს სხდომის გამართვის ზუსტ დროსა და ადგილს, ხოლო შემდეგ აღნიშნულს ატყობინებს ეთიკის საბჭოს წევრებსა და შესაბამის სტუდენტს (სტუდენტებს).

4.8. ყველა მტკიცებულება და გარემოება, რომლებიც დისციპლინური წარმოების საფუძველია, სრულად უნდა გამოიკვლიოს ეთიკის საბჭომ.

4.9. ეთიკის საბჭოს სხდომაზე სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი აწევს საკითხის ინიციატორს.

4.10. საკითხის ინიციატორი ამზადებს საბჭოს მიერ განსახილველ საკითხს, აგროვებს და ასაბუთებს მტკიცებულებებს და წარუდგენს საბჭოს, განხილვამდე 5 დღით ადრე მაინც.

4.11. დისციპლინური წარმოების განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:

4.11.1. წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;

4.11.2. დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვაში და ისარგებლოს დაცვის უფლებით;

4.11.3. ეთიკის საბჭოს მიაწოდოს თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;

4.11.4. მონაწილეობა მიიღოს ეთიკის საბჭოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;

4.11.5. მოითხოვოს, მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე;

4.11.6. აცილება მისცეს საბჭოს წევრს 4.5 პუნქტში აღნიშნული რომელიმე საფუძვლის არსებობის შემთხვევაში.

4.12. ეთიკის საბჭოს სხდომის ოქმს აწარმოებს და ხელმოსაწერად ამზადებს ეთიკის საბჭოს მდივანი. ეთიკის საბჭოს ოქმს ხელს აწერს ეთიკის საბჭოს მდივანი და ეთიკის საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, ეთიკის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც ხელმძღვანელობდა ეთიკის საბჭოს სხდომას. ხელმოწერილი ოქმის ასლი გადაეცემა უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურს რექტორის ბრძანების (დანართი №3) მომზადების მიზნით.

4.13. ეთიკის საბჭო უფლებამოსილია აწარმოოს საბჭოს სხდომის ან მისი ნაწილის აუდიო-და ვიდეო ჩაწერა. ჩანაწერი თან ერთვის სხდომის ოქმს.



4.14. ეთიკის საბჭოზე დასწრების უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. დაინტერესებულ პირად მიიჩნევა ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელთან დაკავშირებითაც გამოცემულია ან გამოცემული იქნება ეთიკის საბჭოს გადაწყვეტილება, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ან შეუძლია მოახდინოს ეთიკის საბჭოს გადაწყვეტილებამ.

4.15. ეთიკის საბჭო, საკითხის სრულად გამოკვლევისა და შესწავლის მიზნით, უფლებამოსილია სხდომაზე მოიწვიოს და გამოკითხოს მოწმეები.

4.16. ეთიკის საბჭო უფლებამოსილია სხდომაზე მოიწვიოს ექსპერტი ან სპეციალისტი.

4.17. მტკიცებულებებისა და გარემოებების სრულფასოვნად გამოკვლევის შემდეგ სხდომაზე მოწვეული პირები სტოვებენ სხდომას. მსჯელობა და კამათი გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმართება მხოლოდ საბჭოს წევრებს შორის.

4.18. სხდომის თავმჯდომარე გამოავლენს გადაწყვეტილების მომხრე წევრებს, მოწინააღმდეგე წევრებს და წევრებს, რომლებმაც ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს, ან გამოთქვეს განსხვავებული აზრი.

4.19. განსხვავებული აზრის გამოთქმის შემთხვევაში, საბჭოს წევრი 2 სამუშაო დღის ვადაში წერილობით აყალიბებს თავის განსხვავებულ აზრს და წარუდგენს საბჭოს მდივანს სხდომის ოქმზე დართვის მიზნით.

4.20. სტუდენტის ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლით გათვალისწინებული აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული ეთიკის წესების დარღვევის შემთხვევაში, შესაბამისი სკოლის დეკანი/საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შეისწავლის საკითხს და თავის გადაწყვეტილებას, თანდართულ მტკიცებულებებთან ერთად, ატყობინებს ეთიკის საბჭოს შემდეგი ელექტორული ფოსტის მეშვეობით: [ethicscouncil@freuni.edu.ge](mailto:ethicscouncil@freuni.edu.ge) და შესაბამის სტუდენტს.

4.21. სტუდენტი და ეთიკის საბჭოს წევრები, 4.20 პუნქტში აღნიშნული ინფორმაციის მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში, უფლებამოსილნი არიან საკუთარი მოსაზრება ელექტრონულად წარუდგინონ ეთიკის საბჭოს (შემდეგი ელექტორული ფოსტის მეშვეობით: [ethicscouncil@freuni.edu.ge](mailto:ethicscouncil@freuni.edu.ge)), ასევე, მოითხოვონ ეთიკის საბჭოს სხდომის გამართვა და ზეპირი მოსმენის ჩატარება.

4.22. ზემოაღნიშნული ხუთდღიანი ვადის ამოწურვის შემდეგ, შესაბამისი სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამოიცემა ეთიკის საბჭოს საბოლოო გადაწყვეტილების ფორმით და გადაეცემა შესაბამის სტუდენტსა და უნივერსიტეტის სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

5. ეთიკის საბჭოს გადაწყვეტილების მიღება, გამოცემა და შენახვა ხორციელდება შემდეგი წესების დაცვით:



5.1. ეთიკის საბჭოს გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის აქტებით გათვალისწინებული წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს.

5.2. ყველა მტკიცებულება, რომელიც დისციპლინური წარმოების საფუძველია და რომელსაც ემყარება ეთიკის საბჭოს გადაწყვეტილება, სრულად უნდა გამოიკვლიოს ეთიკის საბჭომ.

5.3. სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება გამოიცემა რექტორის ბრძანების ფორმით (დანართი №3).

5.4. რექტორის მიერ ხელმოწერილი ბრძანება გადაეცემა უნივერსიტეტის სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს და შესაბამის სტუდენტს.

5.5. ინფორმაცია სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გატარების შესახებ კონფიდენციალურია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს სტუდენტის ნებართვა, ან ადმინისტრაციის კანონიერი ინტერესი დაიცვას სხვისი უსაფრთხოება და კანონით დაცული უფლებები.

5.6. ინფორმაცია სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების შესახებ ინახება უნივერსიტეტის სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ განცალკევებულად. სტუდენტის შესახებ ინფორმაციის შენახვისას უნივერსიტეტი ვალდებულია იხელმძღვანელოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

5.7. სტუდენტს უფლება აქვს სასამართლოში გაასაჩივროს ეთიკის საბჭოს მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება, მიღებიდან 1 თვის განმავლობაში.

ვახტანგ ლეჟავა



თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის  
რექტორს ბატონ ვახტანგ ლეჟავას

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის

-----  
-----  
-----

**სამსახურებრივი ბარათი**  
**დისციპლინური წარმოების განხორციელების დაწყების შესახებ**

მოგახსენებთ, რომ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის

-----

(სკოლის / საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)

სტუდენტმა \_\_\_\_\_

დაარღვია სტუდენტის ეთიკის კოდექსის  
მოთხოვნები, რაც გამოიხატა სტუდენტის მიერ

მუხლ(ებ)ის

-----  
-----  
-----  
-----

გთხოვთ, „უნივერსიტეტის ეთიკის საბჭოს შექმნისა და ეთიკის საბჭოს რეგლამენტის  
დამტკიცების თაობაზე“ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის



თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

19 თებერვლის №03/02-27 ბრძანების შესაბამისად, გამოსცეთ ბრძანება დისციპლინური წარმოების განხორციელების დაწყების თაობაზე.

საკითხის ინიციატორი,

/სახელი, გვარი და ხელმოწერა/

თარიღი:





## ბრძანება №

### დისციპლინური წარმოების განხორციელების დაწყების შესახებ

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის წესდების 4.6 პუნქტის, სტუდენტის ეთიკის კოდექსის 7.5 პუნქტის, „უნივერსიტეტის ეთიკის საბჭოს შექმნისა და ეთიკის საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 19 თებერვლის №03/02-27 ბრძანების შესაბამისად,

1. დაწყებულ იქნეს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის

(სკოლის / საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)

სტუდენტის

მიმართ დისციპლინური წარმოება და დაევალოს ეთიკის საბჭოს საკითხის ინიციატორის მიერ წარდგენილი მასალების სრულყოფილი შესწავლა, საკითხის განხილვა, მხარეთა მოსმენა და გადაწყვეტილების მიღება.

2. ეს ბრძანება დაუყოვნებლივ გადაეცეს ეთიკის საბჭოს და სტუდენტს

ვახტანგ ლუევა

რექტორი



### ბრძანება №

#### დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის წესდების 4.6 პუნქტის, სტუდენტის ეთიკის კოდექსის 7.5 პუნქტის, „უნივერსიტეტის ეთიკის საბჭოს შექმნისა და ეთიკის საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 19 თებერვალი №03/02-27 ბრძანების, ასევე ეთიკის საბჭოს [201\_წლის \_\_\_\_\_ № \_\_\_\_\_] გადაწყვეტილების შესაბამისად,

1. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის \_\_\_\_\_

(სკოლის / საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)

სტუდენტის \_\_\_\_\_ მიერ  
სტუდენტის ეთიკის კოდექსის [ \_\_\_\_\_ ] მუხლ(ებ)ის დარღვევის გამო მის მიმართ გამოყენებულ იქნეს სტუდენტის ეთიკის კოდექსის [ \_\_\_\_\_ ] მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომა: [ \_\_\_\_\_ ].

2. ეს ბრძანება გადაეცეს უნივერსიტეტის სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს და სტუდენტს

3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) მიღებიდან 1 თვის განმავლობაში.

ვახტანგ ლევავა

რექტორი